პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 287 (9755) | შაბათი, 5 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია მძლავრი მაორგანიზებელი, დამრაზმავი ძალაა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის.

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის დროშით

დღეს საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციის დღეს.

ჩვიდმეტი წლის წინათ, საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის მიერ 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოიპოვა. ახალი კონსტიტუცია არის სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვების კონსტიტუცია.

ჩვენს კონსტიტუციაში გამოხატულება ჰპოვა იმ უდიდესმა ცვლილებებმა, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკასა და კლასობრივ სტრუქტურაში მოხდა. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დარჩნენ ერთმანეთისადმი მეგობარი კლასები — მუშათა კლასი და გლეხთა კლასი, დარჩა საბჭოთა ინტელიგენცია. განვითარდნენ სოციალისტური საზოგადოების ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა დიადი მეგობრობა და საბჭოთა ცხოველმყოფელი პატრიოტიზმი.

საბჭოთა კონსტიტუციამ განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის ხანაში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ საწყისად უნდა იყოს კომუნისტური პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის დროშით ჩვენმა ხალხმა კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა დიდ სამამულო ომში, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებაში და, თავისი საქმის სამართლეში ღრმად დარწმუნებული, პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ — კომუნიზმისაკენ. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ 28 წელიწადში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირში გაიზარდა 29-ჯერ, კერძოდ, წარმოების საშუალებათა წარმოება — 55-ჯერ. ნაციონალური შემოსავალი 1952 წელს თორმეტჯერ და კიდევ უფრო მეტად აღემატებოდა რუსეთის 1913 წლის ნაციონალურ შემოსავალს.

წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელები კონსტიტუციის დღეს აღნიშნავენ უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა ხალხი, შეიარაღებული კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, წარმატებით ასრულებს ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარ ამოცანას შეადგენს. ამის შესაბამისად პარტიამ და მთავრობამ ამ ბოლო დროს მიიღეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება, საბჭოთა ვაჭრობის გადაჭრით გაუმჯობესება და საქონელბრუნვის დიდი ზრდა, საბინაო მშენებლობის გაფართოება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ნიშნავენ ოთვალისწინებენ დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცება, მეცხოველეობის განვითარება, ბოსტნეულის, კარტოფილის წარმოების გადიდება, მარცვლეული, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლება და ამ საფუძველზე კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ჩვენს ქვეყანაში მოხმარების საგნების სიუხვის შექმნა, მშრომელების მზარდი მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილება დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის შემდგომ აღმავლობაზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა წინ მიუძღვიან ჩვენს ხალხს და წარმართავენ მის დაუშრეტელ შემოქმედებით ძალებს სოციალიზმის ქვეყნის შემდგომი ეკონომიური და კულტურული აღორძინებისაკენ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

სსრ კავშირის კონსტიტუციით ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შრომის დიადი უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლებანი მოღვაწეობის ყველა დარგში. სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა. სსრ კავშირში უზრუნველყოფილია სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, პიროვნების, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენტთა ორგანიზაციების უფართოესი თავისუფლება.

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალის ქვეყნებში. იქ გაბატონებულია მშრომელთა ექსპლოატაცია და ძარცვა, უუფლებობა და უმუშევრობა, ტანჯვა-წამება და შიმშილით სიკვდილი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობისა მშრომელთა ელემენტარული უფლებებიც კი, მძვინვარებს მთელი პროგრესული ძალების დევნა, ტერორი, ახალი აგრესიული ომისათვის გამალებული მზადება. ამერიკელმა ომის გამჩაღებლებმა და მათმა მიმდევრებმა არა მარტო თავიანთ ქვეყნებში მოსპეს ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები, არამედ უხეშად ხელყოფენ და არღვევენ საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებსაც კი. ასეთია ახლა მომაკვდავი იმპერიალისტური კაპიტალიზმის მხეცური სახე.

სსრ კავშირის კონსტიტუცია უდიდესი დამრაზმველი ძალაა, პროგრესული კაცობრიობის მანათობელი შუქურაა. კაპიტალის უღელქვეშ მგმინავ მშრომელ ხალხს ჩვენი კონსტიტუცია უჩვენებს ექსპლოატაციისაგან, უმუშევრობისაგან, სიღატაკისაგან განთავისუფლების გზას.

სოციალისტური დემოკრატია უზრუნველყოფს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას. კომუნისტური პარტია რაზმავს ხალხს, მხარს უჭერს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, ამსხვრევს ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის და აფერხებს კომუნიზმის მშენებლობას.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის კონსტიტუციაა. საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას.

საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ირგვლივ, განამტკიცებს თავისი დიადი სამშობლოს ძლიერებას, იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კონსტიტუციის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ჩვენს დიად სამშობლოში

★



კრასნოდარის მხარე. სტანიცა კრასნოარმეისკაიაში მალე ამუშავდება ბურღლის დიდი ქარხანა. იგი დღეღამეში დაამუშავებს 120 ტონა ბრინჯს. ახლა წარმოებს მოწყობილობის მონტაჟი. **სურათზე:** ქარხნის საერთო ხედი.

ფოტო ე. შულეპოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



ხარკოვი. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები ზრდიან მანქანების გამოშვებას. დიდ წარმატებებს მიაღწია ტრაქტორების ასაწყობმა ქარხანამ. საწარმოს კოლექტივმა წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით ასობით ტრაქტორი გამოუშვა.

სურათზე: „ხტზ-7“ ტრაქტორების მომზადება გასაგზავნად.

ფოტო მ. ნაჩინკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საშენი მასალები სოფლისათვის

ტალინი. (საკდესი). ესტონეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური ბაზიდან ყოველდღე იგზავნება საკოლმეურნეო სოფლისათვის განკუთვნილი საშენი მასალებით დატვირთული ვაგონები და მანქანები. მარტო წლის მეორე ნახევარში სოფლის მშენებლებს გაეგზავნათ 18 მილიონი ცალი აგური — 75 პროცენტით მეტი, ვიდრე მთელი გასული წლის მანძილზე, მილიონნახევრამდე ცალი კრამიტი, 7 ათასი ტონა კირი, რაც ერთიორად აღემატება გასული წლის მეორე ნახევარში გაგზავნილს.

რესპუბლიკის საწარმოები ზრდიან საშენი მასალების წარმოებას. ქარხანა „შეტალისტმა“ სოფელში გასაყიდად გაგზავნა დიდძალი ლურსმანი, თუჯსამსხმელო ქარხანა „პიონერმა“ — თუჯის საღუმელე სხმული. დიდძალი ტოლი გაგზავნა სოფლის მაღაზიებში ტალინის სარეწაო არტელმა „შამოტმა“. აგურის ქარხნებმა „აზერიმ“ და „კვარცმა“, კირის ქარხანა „ვაზალემამ“ უკვე შეასრულეს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის პროდუქციის გამოშვების დავალება.

მუშა ღიგერაჯორები

სვერდლოვსკი. (საკდესი). ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს ლიტერატურული წრე, რომელშიც შედიან ქარხნის მუშები და ინჟინრები. წრეს ხელმძღვანელობს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი ე. რუეანსკი. აქ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა ურალელმა პოეტმა მ. პილიპენკომ. წრის ყოფილი მონაწილე გ. იაკიმოვი ახლა მოსკოვის ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სტუდენტია.

ქარხნის ლიტერატორებს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა მწერლების კავშირის სვერდლოვსკის განყოფილება. ამას წინათ წრის წევრებმა მოაწყეს კონკურსი საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებზე მშობლიური საწარმოს შესახებ. კონკურსზე შემოვიდა 46 მოთხრობა, ნარკვევი, სიმღერა, ლექსი. მაღალი შეფასება მიიღო: ლექსმა „ფეხსაცმელი“, რომლის ავტორია მსხვილი კვანძების საამქროს კონტროლიორი ი. შმაკოვი, ეკონომისტ ი. ივანოვის ნარკვევმა „პირშუოს დაბადება“ და კონსტრუქტორ ი. რონინის ლექსმა „წერილი“.

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ლიტერატურული წრე ამჟამად დასაბეჭდად ამზადებს ალმანახის პირველ ნომერს. ალმანახში დაიბეჭდება მუშების საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებნი.

კარტოფილ-ბოსტნეულის გაზეთის შექმნა ქალაქების გარშემო

პეტროზავოდსკი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კარელია-ფინეთის სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების შემდგომი გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების შესახებ. პეტროზავოდსკის, სორტავალის, სეტეკეისა და სხვა დიდი ქალაქების გარშემო იქმნება კარტოფილ-ბოსტნეულის მტკიცე ბაზა.

ქალაქების ახლოს მდებარე 126 კოლმეურნეობაში 1954 წელს მთელი ნათესი ფართობის თხუთმეტი-ოცი პროცენტი კარტოფილსა და ბოსტნეულს ექნება დაკავებული.

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

გუმბრინი გეგმის გადამეტებით

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). გუმბრინის მაღაროების კოლექტივებმა პირნათლად გაანადღეს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება — 1 დეკემბრისათვის შეასრულეს გუმბრინის მოპოვების წლიური გეგმა.

კონსტიტუციის დღისათვის გუმბრინელმა მაღაროელებმა სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით უკვე მისცეს მრავალი ასი ტონა პროდუქცია.

ტვირთზიდვის გეგმის შესრულება

შორაპანი. („კომუნისტის“ კორ.). შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის კოლექტივმა სახელმწიფო ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის 1953 წლის გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულა. სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის გეგმის გადამეტებით დატვირთული და დანიშნულებისამებრ გაგზავნილია ათასობით ტონა სახელმწიფო ტვირთი.

ვადაზე ადრე

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის სატყეო კომბინატის კოლექტივი ნოემბერში პროდუქციას გვაძლევდა წლიური გეგმის გადამეტებით. კომბინატს 1953 წლის გეგმა შესრულებული ჰქონდა 1 ნოემბრისათვის.

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ავეჯის საამქროს წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 500.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო პარკეტის საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით მოგვცა 8.000 კვადრატული მეტრი პარკეტი.

ქსოვილები

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე აღნიშნა ახალი საწარმოო მიღწევებით. 1 დეკემბრისათვის საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ამ მოწინავე საწარმოს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 110.000 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი.

ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით იბრძვის წლის ბოლომდე კიდევ მრავალი ათეული ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილების გამოსაშვებად.

აგური მშენებლობებს

საბურთალოს აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა 5 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა და მშენებლობებს გაუგზავნა 2.250.000 ცალი გამომწვარი აგური.

აღსანიშნავია, რომ აგურის გამომწველებმა წელს საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა, 7.158.000 ცალით გაზარდეს პირველხარისხოვანი აგურის გამოშვება და ამასთან 8,1 პროცენტით შეამცირეს მისი თვითღირებულება.

აკადემიკოს ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოება

ტამბოვი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარდგინებით ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოვა აკადემიის ნამდვილი წევრი პ. ნ. იაკოვლევი.

ი. ვ. მიჩურინის სახელობის მედალს ანიჭებენ თვალსაჩინო, ორიგინალურ ნაშრომებსა და აღმოჩენებს, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მიჩურინული აგრობიოლოგიის განვითარების დარგში.

პ. ნ. იაკოვლევი ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა ი. ვ. მიჩურინთან ერთად და განაგრძობს მისი მოძღვრების განვითარებას, სწავლობს, თუ რა გავლენას ახდენს ცხოვრების პირობები მცენარეული ორგანიზმების მემკვიდრეობითს თვისებათა შეცვლაზე. ახლა პ. ნ. იაკოვლევი ხელმძღვანელობს ი. ვ. მიჩურინის სახელობის ძირითად სანერგეს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის შუა ზოლისათვის ატმის გამოყვანას, მეხილეობის პრაქტიკაში პირველად მიიღო ატმისა და ქლიავის, ღოღნოშოს და ნუშის ჰიბრიდები.

„პრავდის“ 4 დეკემბრის მოწინავე

ავამაღლოთ გაზეთებისა და ჟურნალების დონე

კომუნისტური პარტიის ყველა დიდ და სახელოვან საქმეში ჩვენი პრესა მისი ერთგული და მებრძოლი თანაშემწეა. პრესა ეხმარება პარტიას აღზარდოს მასები კომუნისტური სულისკვეთებით, დარაზმოს ისინი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად. პრესა დიდებით მოსავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მოწინავე ადამიანებს, უზრუნველყოფს, რომ მათი მუშაობის გამოცდილება გახდეს მილიონობით მშრომელის კუთვნილება, ხელს უწყობს თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაჩაღებას, მზის სინათლეზე გამოჰყავს ნაკლოვანებათა კონკრეტული დამნაშავენი, ამთარხებს ბიუროკრატებს, იმ ადამიანებს, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს, მტკიცედ იბრძვის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა მთელი ძალები და შემოქმედებითი ინიციატივა მოახმაროს სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, მოსახლეობისათვის სურსათის და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნას. ჩვენს ქვეყანას აუარაკელი შესაძლებლობა აქვს ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის. მთელი საკითხი ის არის, რომ გამოვავლენოთ ეს შესაძლებლობანი და რეზერვები, სავსებით გამოვიყენოთ ისინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩვენს პრესას მოელის დიდი, გულმოდგინე და მრავალმხრივი მუშაობა. მაგრამ, როგორც გვიჩვენა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეების ამასწინანდელმა თათბირმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია, ჩვენი პრესის მუშაობას სოფლის მეურნეობის საკითხთა გაშუქების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა, რომ, მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გააჩაღეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების განსახორციელებლად, მუშაობის გარდაქმნა პლენუმის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა მიხედვით ჯერ კიდევ ნელა წარმოებს. მიუხედავად ამისა, გაზეთები და ჟურნალები ხშირად საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ყველა ამოცანა უკვე გადაჭრილია. ასეთ უდარდელობას შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს საქმეს.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებას კვალიფიციური კადრებით. მაგრამ პრესა ჯერ კიდევ სუსტად გვიჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილებზე ინჟინრების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების შერჩევა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის. იგი არ ამხელებს იმ მუშაკებს, რომლებიც არისტოკრატულად ეკიდებიან სოფლის მეურნეობას, და გვერდს უვლის ფაქტებს, როცა სოფლად იგზავნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით დამოუსაედგარი არიან.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კადრების შერჩევა და აღზრდა. პარტიული ორგანიზაციები დღემდე ცუდად ზრუნავენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კადრებისათვის, ხოლო გაზეთები სუსტად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში, ურიგდებიან იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეების პოსტებზე მთელ რიგ შემთხვევებში რეკომენდაცია ეძლევათ უვარგის მუშაკებს, რომლებმაც წინათ ჩაფუშეს მუშაობა.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და ჩამორჩენილთა კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მეთოდია შედარების მეთოდი. ადარებენ რა მოწინავე, საშუალო და ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიურ მაჩვენებლებს, გაზეთები თვალსაჩინოდ და კონკრეტულად გვიჩვენებენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ამ მეურნეობებში, გამოავლენენ იქ არსებულ რეზერვებს. მაგრამ ბევრი გაზეთი როდი იყენებს კრიტიკის ამ ქმედითს მეთოდს. ადგილებზე გამართული სასოფლო-სამეურნეო გამოფენების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში გაზეთები არაფერს არ წერენ ჩამორჩენილ მეურნეობებზე, იმაზე, რომ საჭიროა ისინი ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის საკითხები გაშუქდეს ყოველმხრივ და ღრმად, საჭიროა გაზეთებსა და ჟურნალებში სათანამშრომლოდ ფართოდ მოვიზიდოთ მოწინავე კოლმეურნეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ტრაქტორისტები, ინჟინრები, სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ადამიანები, რომლებიც იცნობენ საქმეს და უყვართ იგი. სწორედ ამ ადამიანებს შეუძლიათ უნარიანად გააშუქონ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე კონკრეტული, პრაქტიკული საქმეები, გაგვიზიარონ მუშაობის გამოცდილება, გვიჩვენონ, თუ რა მეთოდებით აღწევენ ისინი წარმატებას.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრი გაზეთი საკმაოდ არ იზიდავს თავის მუშაობაში სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, პრაქტიკოსებს, სპეციალისტებს. აი მაგალითი: კრასნოიარსკის მხარეში ათასობით მოწინავეა, მარტო სოციალისტური შრომის გმირი ორასამდეა. გაზეთ „კრასნოიარსკი რაბოჩის“ ფურცლებზე კი უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მხოლოდ 8 კოლმეურნის, ტრაქტორისტისა და ბრიგადირის წერილები დაიბეჭდა.

რედაქტორთა თათბირზე გააკრიტიკეს მთელი რიგი გაზეთების, კერძოდ, „კურსკაია პრავდის“, „რაბოჩი პუტის“ (სმოლენსკი), „ბრიანსკი რაბოჩის“, „სელსკოე ხოზაიისტვოს“, „ლიტერატურნაია გაზეტას“ სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები. სმოლენსკის გაზეთ „რაბოჩი პუტში“ რედაქციის ნაკლებად მცოდნე შტატის თანამშრომელთა სტატიები იბეჭდება კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურებისა და მეცხოველეების ხელმოწერით. ეს უვარგისი, მანკიერი პრაქტიკაა! ჟურნალ-გაზეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ ღრმად, ყოველმხრივ, საქმის ცოდნით გააშუქონ პარტიის მიერ მათთვის დასახული ამოცანები, იყვნენ ნამდვილად კოლექტიური პროპაგანდისტები, აგიტატორები და ორგანიზატორები, თუ პრესაში ფართო მონაწილეობას მიაღებინებენ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა და პარტიულ აქტივს.

ახლა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს მოეთხოვებათ გააშუქონ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, ამასთან გაითვალისწინონ ადგილობრივი პირობები, დაეყენონ თავიანთ ფურცლებზე კონკრეტული, საჭირბოროტო პრობლემები, უფრო ღრმად ჩასწვდნენ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას, უნარიანად განაზოგადონ და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება.

უნდა ითქვას, რომ პრესას სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს მრეწველობის შემდგომი განვითარების, კერძოდ, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანების გაშუქებაშიც. გაზეთები არ აკლინებენ სამრეწველო საწარმოთა უდიდეს რეზერვებს. ცნობილია, რომ ბევრ საწარმოში საკმარისად არ არის გამოყენებული დიდი წარმადობის მოწყობილობა, ცუდად არის მოწყობილი ტექნოლოგიური პროცესი, დაბალია შრომის ნაყოფიერება. გაზეთებმა მრეწველობის მუშაკთა ინიციატივა, გამომგონებლობა იქითკენ უნდა წარმართონ, რომ გამოინახოს პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდების რეზერვები საწარმოო ფართობების გაუდიდებლად.

პრესა უნდა ამთარხებდეს იმ მუშაკებს, რომლებიც ბიუროკრატულად ეკიდებიან საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებს და დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ მშრომელთა ყოფაცხოვრების საკითხებისადმი, გავაშუქოთ პრესაში საბინაო მშენებლობის მიმდინარეობაც, ბინების განაწილებაც, ხალხო მოხმარების საგნების წარმოებაც და ვაჭრობის ორგანიზაციაც.

საჯაროობა, პრესაში საქვეყნოდ გაკრიტიკება მძლავრი საშუალებაა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სოფლის მეურნეობის დარგშიც და მრეწველობის დარგშიც. პარტია გვასწავლის არ გამოვიჩინოთ უდარდელობა, არამედ აქტიურად ვებრძოლოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, აშკარად და პირდაპირ ვილაპარაკოთ ნაკლოვანებებზე. კრიტიკა უნდა იყოს მწვავე, ღრმა და კონკრეტული, უნდა გვრაზმავდეს ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, გვიჩვენებდეს ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს.

პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე შორმსროლელი იდეური იარაღია. თუ ჟურნალ-გაზეთებისათვის კარგად შევარჩევთ მასალებს, ჩვენ შეგვიძლია მიზანში მოვახვედროთ მრავალ ათას კილომეტრზე, გამოვაშკარაოთ ნაკლოვანებანი ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხეში.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშების, მოწინავე გამოცდილების, ნაკლოვანებების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული მასალა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს საჭირო ზეგავლენას, თუ იგი დაწერილია საქმის ცოდნით, ღრმა და საინტერესო შინაარსისაა. სამწუხაროდ, ჟურნალ-გაზეთებში ჯერ კიდევ ბევრია ფუჭსავატობა, შაბლონი, ლეკვა. ფორმალურად ზოგიერთი სტატიაში ყველაფერი სწორია, შეცდომა არ არის, მაგრამ მისგან სარგებლობაც ძნელი მოსალოდნელია. ყველაფერი, რაც ასეთ სტატიაში წერია, დიდი ხანია ცნობილია, მწვავე საკითხებს გვერდი აქვს ავლილი, სტატია არავის არ აწყენინებს.

ბევრ ჩვენს გაზეთს ხელს უშლის ხმაურობა, მყვირალა ფრაზების გამოდევნება. ამას ბოლო უნდა მოელოს. ნაკლები ხმაური, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და დეკლარაციები, უფრო მეტად ვუჩვენოთ კოლმეურნეობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების, რაიონებისა და ოლქების ცოცხალი საქმე, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა! თუ გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს სტატია ამა თუ იმ საკითხზე, მან ღრმად უნდა შეისწავლოს ეს საკითხი, რათა გაზეთში გამოქვეყნებული მასალა საფუძვლიანი და სოლიდური იყოს. რედაქტორს უნდა შეეძლოს სწორად შეარჩიოს თანამშრომლები, შემოიკრიბოს გაზეთის გარშემო შტატგარეშე ავტორთა აქტივი.

ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. პრესაში უნდა გავაშუქოთ, როგორ ემზადებიან თესვისათვის კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, როგორ მოეწყო მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და კარტოფილის თესლის შენახვა, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგისათვის კადრების მომზადება. განსაკუთრებით საჭიროა პრესამ კონტროლი გაუწიოს, თუ როგორ მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პარტიულ და საბჭოთა პრესას უკვე არაერთხელ დუმტკიცებია, რომ მას შეუძლია პირნათლად შეასრულოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მისთვის დასახული პასუხსაგები ამოცანები. შეიძლება ეჭვი არ ვიქნეთ, რომ ახლაც. როცა საბჭოთა ხალხი წყვეტს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის ისტორიულ ამოცანას, პრესა, რომელსაც პარტია ხელმძღვანელობს, მის წინაშე დაყენებული მოთხოვნების სიმაღლეზე აღმოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორების თათბირი

19 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და პ. ნ. პოსპელოვმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს მოხსენებანი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ვ. ს. კრუტკოვისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმი სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორის ამხ. დ. ტ. შეპილოვისა „პრესის ამოცანები „სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანებზე“ და ამხ. ი. ი. ფადეევმა. იმაზე, თუ როგორ უჩვენებს გაზეთი „სოვეტსკაია კუბან“ თავის ფურცლებზე მტს-ების მუშაობას და კომპლექსურ მექანიზაციას მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში, ილაპარაკა მისმა რედაქტორმა ამხ. დ. ი. კრასიუკმა. ადგილობრივი პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილებას მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივნის ამხ. ე. ი. ტრეტიაკოვას მოხსენება.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გაზეთების რედაქტორებმა და სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეებმა.

თათბირის მონაწილეებისათვის წაკითხულ იქნა მთელი რიგი ლექციები. პროფესორმა ა. გ. ლორხმა წაიკითხა ლექცია „კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით მოყვანის აგროტექნიკის შესახებ“, პროფესორმა ვ. ი. ედელშტეინმა — „ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით მოყვანის აგროტექნიკის შესახებ“, აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა — „საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მიღებაში“.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვები ბაზის გაუმჯობესების საკითხები გაუქმებულ იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ს. პ. სმელოვის ლექციაში.

მეცხოველეობის განვითარების, საბოქაჯოე სელის მოსავლის გადიდების, სოფლის მეურნეობაში სამუშაოთა მექანიზაციის მნიშვნელოვანი პრობლემები აღძრულ იქნა პროფესორ ნ. დ. მატვეევის, მეცხოველეობის ინსტიტუტის დირექტორის ი. მ. კუზნეცოვის, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის საერთო მექანიზაციის ინსტიტუტის დირექტორის ა. ს. მაიატის, ჭარხლის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ი. ი. სინიაგინის ლექციებში.

აკადემიკოსმა ა. მ. პანკრატოვამ წაიკითხა ლექცია თემაზე „მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ურღვევი კავშირი“, პროფესორმა ი. დ. ლაპტევმა — „კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების შესახებ“, პროფესორმა გ. მ. გაკმა — „ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლის შესახებ“, ამხ. ვ. გ. კორიონოვმა — „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

საჭირო მასალებით გაზეთების უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებებზე ილაპარაკეს საკდესის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. გ. პალგუნოვმა, გაზეთ „პრავდის“ პრესბიუროს განყოფილების რედაქტორმა ამხ. ვ. ვ. პლაკოვსკიმ. გაზეთების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებებზე თათბირს მოახსენა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. ნ. სტოლეტოვმა.

თათბირის მონაწილეებისათვის მოეწყო სასოფლო-სამეურნეო კინოფილმებისა და კინოჟურნალების ჩვენება.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანებზე და ნაზგასმით აღნიშნა საბჭოთა პრესის უდიდესი როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ჩვენს ქვეყანას აურაცხელი შესაძლებლობა მოეპოვება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის უსწრაფესი განვითარებისათვის, რათა უახლოეს წლებში სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობა სასურსათო საქონლით, ხოლო მსუბუქი მრეწველობა — ნედლეულით. მთელი საკითხი ის არის, რომ გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი და რეზერვები, მოვაწყოთ ბრძოლა მათი სრული გამოყენებისათვის. და ამ საქმეში ჩვენს პრესას მოელის დიდი, გულმოდგინე და მრავალფეროვანი საქმიანობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად. მაგრამ დღემდე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი არსებითი ნაკლოვანებანი. ბევრ ოლქში დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ მეცხოველეობის განვითარების, საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის დავალებებს, ჩამორჩება მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა. უნდა ვალიაროთ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა მიხედვით მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს.

გაზეთები და ჟურნალები ხშირად საქმეს ისე წარმოგვიდგენენ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ყველა ამოცანა უკვე გადაჭრილია. ასეთ უდარდელობას შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს საქმეს. საჭიროა აქტიური ბრძოლა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო კადრებთან მუშაობის ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ პრესა ჯერ კიდევ სუსტად აუშუქებს იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილებზე ინჟინრების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების შერჩევა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ, რათა შეარჩიონ და სოფლად გაგზავნონ მართლაც საუკეთესო მუშაკები, რომელთაც შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ბევრი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთი აქაც საქმეს საიმედო ფერებით გვიხატავს. ისინი უფრო მეტს წერენ სოფლის მეურნეობაში გაგზავნილი სპეციალისტებისა და სხვა მუშაკების რაოდენობაზე, მაგრამ, როგორც წესი, არაფერს ამბობენ იმაზე, თუ ვის გზავნიან, შესწევთ თუ არა უნარი ამ მუშაკებს ნამდვილი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც არისტოკრატულად უდგებიან სოფლის მეურნეობას, არ ესმით იმ მუშაობის მთელი სიღრმე და სერიოზულობა, რომელსაც პარტია სოფლის მეურნეობის აღმავლობაში ასრულებს. პრესამ უნდა ამხილოს მავნე განწყობილება — კოლმეურნეობების და მტს-ების საჭიროებისადმი ბატონ-კაცურ-ქედმაღლური დამოკიდებულების განწყობილება.

პარტიული ორგანიზაციები საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისათვის, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეხმ ძირითადი, გადამწყვეტი ფიგურაა საკოლმეურნეო წარმოებაში. კოლმეურნეობების ხელმძღვანელებად უნდა დავაწინაუროთ ადამიანები, რომელნიც კარგად შეძლებენ გაამართლონ კოლმეურნეთა ნდობა, რომელთაც უნარი შესწევთ სწორად განახორციელონ პარტიის პოლიტიკა სოფლად. რაიკომების მდივნების ღირსება და სიმწიფე, მათი უნარი — უხელმძღვანელონ მასებს — უნდა გამოჩნდეს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ შეძლონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად შეარჩიონ უნარიანი ადამიანები, საზოგადოებრივი მეურნეობის კარგი ორგანიზატორები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კადრების საკითხებზე. გაზეთები სუსტად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში. ისინი ხშირად წერენ კოლმეურნეობათა საუკეთესო თავმჯდომარეებზე, და ეს საჭიროც არის, მაგრამ ცუდია, როცა გაზეთები არ ააშკარავებენ ნაკლოვანებებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევისა და დაწინაურების პრაქტიკაში, ურიგდებიან იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელების თავმჯდომარეთა პოსტებზე მთელ რიგ შემთხვევებში ასახელებენ ჯვარგის, წინათ ჩავარდნილ მუშაკებს. სერიოზული განმტკიცება ესაჭიროება რაიონული ხელმძღვანელობის რგოლს — პარტიის რაიკომებს, რაიალმასკომებს.

კოლოსალურია პრესის როლი მთელ ჩვენს მუშაობაში. ამ როლის წარმატებით შესრულებისათვის გაზეთებისა და ჟურნალების მუშაკები უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხების არსს, წერდნენ საქმის ცოდნით, კონკრეტულად. გაზეთები მოვალენი არიან მთელი სიმწვავით ამხილონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, გამოაშკარაონ შეცდომები და ეს ისე აკეთონ, რომ მობილიზაცია უყონ ადამიანებს ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად, დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები საღი კრიტიკის გასაჩაღებლად.

გაზეთები ზოგჯერ მასალას მოშაირესავით იძლევიან — თუ სათაურების მიხედვით ვიმსჯელებთ, თითქოს გაზეთში ყველაფერია, არსებითად კი თითქმის არაფერი არ არის. აბა სცადეთ და უთხარით ასეთი გაზეთის რედაქტორს, რომ ვერ გააშუქა ესა და ეს თემა. იგი გიპასუხებთ, ეგ სწორი არ არისო, და მაშინვე გიჩვენებთ ამ საკითხებზე დაწერილი სტატიების სათაურებს. მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს, რა აზრი აქვს ზოგიერთ სტატიას, თუ კაცი ვერ გაიგებს, რა მიზანს ისახავს რედაქცია, რას ესწრაფვის ამა თუ იმ სტატიისა და კორესპონდენციის გამოქვეყნებით. რაკი რედაქციამ გადაწყვიტა დაწეროს სტატია ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს ეს საკითხი, რათა გაზეთში დაბეჭდილი მასალა საფუძვლიანი და სოლიდური იყოს, რათა ყურადღება მიიპყროს, საგულისხმო იყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის, ბრიგადირისათვის, ყოველი მკითხველისათვის, რომელსაც ნამდვილად დიდად აინტერესებს სოფლის მეურნეობა. რედაქტორს უნდა ჰქონდეს უნარი სწორად შეარჩიოს თანამშრომლები, გაზეთის თუ ჟურნალის მუშაობაში მონაწილეობა მიიღებინოს მცოდნე ადამიანებს, თვითონაც ესმოდეს, თუ როგორ უნდა დასახული ამოცანის გადაჭრა. მას უნდა შეეძლოს გამონახოს მოაზროვნე ადამიანები, გამოიყენოს ხალხის გამოცდილება.

სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქებისას ბევრი ჟურნალ-გაზეთის რედაქცია ყოველთვის რიდი ითვალისწინებს ზოგიერთ ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ადგილობრივ პირობებს. მაგალითად, ჩვენში ცოტა როდი იწერება თესვის კვადრატულ-ბუდობრივ წესზე. ეს კარგია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ხშირად ისე იწერება, თითქოს საბჭოთა კავშირის ყველა ზონაში ეს წესი ერთნაირად უნდა იყოს გამოყენებული და კვადრატის ზომაც ერთნაირი უნდა იყოს; არ გაითვალისწინონ ნიადაგის თავისებურებანი და სხვა ბუნებრივი პირობები. ეს ცხოვრების უცოდინარობის შედეგია. იგივე შეიძლება ითქვას ბევრ სხვა საკითხებზეც. ჟურნალ-გაზეთების მუშაკებმა კარგად უნდა იცოდნენ, ღრმად შეისწავლონ საკითხები, რომლებზეც წერენ. ბევრ ჩვენს გაზეთს ხელს უშლის ხმაურობა, მყვირალა ფრაზების გამოდევნება. რა თქმა უნდა, სტატიას ისეთი სათაური უნდა გავუკეთოთ, რომ მიიპყროს ყურადღება, მამობილიზებელი იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს მტკიცე წესი, რომ სათაური შეეფერებოდეს სტატიის შინაარსს, გაზეთის მასალა დამაჯერებელი, საფუძვლიანი იყოს. გაზეთების მუშაკებს უნდა ჰქონდეთ უნარი შეარჩიონ შინაარსიანი, ცოცხალი, საინტერესო და საგულისხმო მასალა. საჭიროა გადაჭრით განვდევნოთ გაზეთების ფურცლებიდან დამკვიდრებული შაბლონები, შემუშავებული სტანდარტები, ყველაფერზე რომ ერთი და იმავე ნიმუშით წერენ. ეი დაიწყეს გაზეთებმა ორი კოლმეურნეობის მუშაობის ერთმანეთთან შედარებით ჩვენება. ეს კარგი მეთოდია. მაგრამ საჭიროა მრავალფეროვანი მასალა გამოვიყენოთ, მეტი ვიფიქროთ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსზეც და გაშუქების ფორმაზეც.

პრესის მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ გაზეთების წარმატებითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტების სინამდვილეს, აწერილი მოვლენებისა და ამბების სიმართლეს, ცოცხალ და მხატვრულ ენას, მასალის მიწოდების სხვადასხვა ფორმას.

თავის სიტყვაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა მთელი რიგი გაზეთების, კერძოდ, „კურსკაია პრავდის“, „რაბოჩი პუტის“ (სმოლენსკი) „ბრიანსკი რაბოჩის“, „სელსკოე ხოზიაისტვოს“, „ლიტერატურნაია გაზეტას“ სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები.

დიდი ნაკლოვანებანი აქვთ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებს, რომელთა ბევრი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია ნამდვილ ზრუნვას არ იჩენს მინდობილი საქმისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერ-ოვნად ვერ აფასებს პრესის როლს, ყოველდღიურად ვერ წარმართავს თავისი ჟურნალების რედაქციების მუშაობას.

ჩვენ, ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, არ მოგვეპოვება უფრო ძლიერი, უფრო ქმედითი იარაღი, ვიდრე ჩვენი პრესაა. პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე შორსმსროლი იდეური იარაღია. ჩვენ შეგვიძლია, თუ კარგად შევარჩევთ ჟურნალ-გაზეთების მასალებს, მიზანში მოვახვედროთ მრავალ ათას კილომეტრზე, გამოვაშკარაოთ ნაკლოვანებანი ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხეში. ამიტომ, ვინც პრესას ჯერ-ოვნად არ აფასებს, ის ჩვენს ძალებს ასუსტებს.

უფრო ღრმად, უფრო შინაარსიანად, საქმის ცოდნით უნდა ვწეროთ სოფლის მეურნეობაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე.

შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი ლაპარაკობს, თუ რა ამოცანები აქვს პრესას მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ, კერძოდ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. მან კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით ცხადყო, თუ წარმოების ტემპის გაძლიერებისა და მოცულობის გადიდების რა უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს. ამოცანა ის არის, რომ გამოვნახოთ ახალი შესაძლებლობანი, რათა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გავადიდოთ საწარმოო ფართობთა გაუდიდებლად წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და მოწყობილობის უფრო რაციონალური გამოყენების გზით. ამასთან საჭიროა მუდამ ვეყრდნობოდეთ მოწინავეთა გამოცდილებას, მათს შრომის პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებს, უფრო ფართოდ ვაჩაღებდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის, ფართოდ ვავითარებდეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას. პრესას აქაც შეუძლია გაუწიოს და კიდევაც უნდა გაუწიოს პარტიულ ორგანიზაციებს ფასდაუდებელი დახმარება.

პრესაში გაკრიტიკება ყველაზე ქმედითი კრიტიკაა. გაზეთების ფურცლებზე უნდა ვამათრახებდეთ იმ მუშაკებს, რომლებიც ბიუროკრატულად ეკიდებიან საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებას და დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ მშრომელთა ყოფაცხოვრების საკითხებისადმი, გავაშუქოთ პრესაში ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, ისიც, თუ როგორ ნაწილდება ბინები, როგორ მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, ისიც, თუ როგორ არის მოწყობილი ვაჭრობა. შეუწყნარებელია, მაგალითად, რომ მაღაზიებში არ არის ბავშვის თექის ჩექმები და სხვა საჭირო ნივთები. ეს უყურადღებობის შედეგი როდია. ეს იმ მუშაკთა უგულებელყოფის უაღრესად მკაფიო ნაყოფია, რომელნიც ცუდად ასრულებენ მინდობილ საქმეს. პრესა უნდა ეხმარებოდეს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა ამოძირკვასა და აღმოფხვრაში, იბრძოდეს ბიუროკრატიზმისა და დაუდევრობის წინააღმდეგ მთელ ჩვენს მუშაობაში.

ჩვენი სამეურნეო მიღწევების საფუძველთა საფუძველია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ნივთებისა და საგნების წარმოებისათვის რომ ვიბრძოლოთ, უნდა დავრაზმოთ ადამიანები, რომლებიც ამ ნივთებსა და საგნებს აწარმოებენ. უნდა ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის, პარტიული პროპაგანდის, იდეოლოგიური მუშაობის დონე. საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები მტკიცე, იდეურად დარაზმულნი იყვნენ.

ჩვენ, თქვა დასასრულ ამხანაგმა ხრუშჩოვმა, ყველა მონაცემი, ყველა პირობა გვაქვს, რათა წარმატებით შევასრულოთ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები. ჩვენს ქვეყანას მოეპოვება დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრენი. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლენინის ხელმძღვანელობით და მისი სიკვდილის შემდეგ სტალინის ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილება შეიძინა. ჩვენი მოვალეობაა დავეყრდნოთ ამ გამოცდილებას, გონივრულად გამოვიყენოთ იგი, ვამრავლოთ წარმატებანი, სწრაფი ტემპით ვიაროთ წინ კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

(საკდესი).

ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისციპლინათა მასწავლებლების რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს 49 ტექნიკუმსა და 68 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში 25 ათასამდე კაცი სწავლობს. ესენი არიან მომავალი ახალგაზრდა სპეციალისტები — აგროტექნიკოსები და ზოოტექნიკოსები, ფერშლები და პედაგოგები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა საშუალო ტექნიკური პერსონალი, საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები.

ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადებაში უდიდესი როლი ეკუთვნით საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების მასწავლებლებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მოიწვია ამ დისციპლინების მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. მელქაძემ.

თათბირმა განიხილა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და დასახა ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის დირექტორი ამხ. რუხაძე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის მასწავლებლები — სტალინირის პედაგოგიური სასწავლებლისა ამხ. ქუმარიტოვი და თბილისის რკინიგზის ტექნიკუმისა ამხ. პუშკარიოვი, ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის პოლიტეკონომიის მასწავლებელი ამხ. გორგილაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების განყოფილების უფროსი ამხ. წილოსანი, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის მასწავლებლები — თბილისის ნავთობის ტექნიკუმისა ამხ. თოფურიძე და თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმისა ამხ. მელიქაძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოს უფროსი ამხ. გვერდწითელი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელი საგურამოს სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. სოსელია, სუხუმის საფერმერო სკოლის დირექტორი ამხ. შურღაია, ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის საბჭოთა კავშირის კომპარტიის ისტორიის მასწავლებელი ამხ. ინწკირველი, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორი ამხ. ჯიბუტი, სუხუმის სუბტროპიკული ტექნიკუმის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის მასწავლებელი ამხ. ქირია.

თათბირმა გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებასა და სასწავლო პროცესის მოწყობაში.

თათბირზე აღინიშნა, რომ სამინისტროები და სხვა უწყებები, რომელთა გამგებლობაშიც არიან ტექნიკუმები და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლები, არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ, ცუდად უწევენ კონტროლს, სუსტად ეხმარებიან სასწავლებლებს.

საჭიროა გაძლიერდეს როლი და მნიშვნელობა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმისა, რომელიც დასაყრდენი, საბაზო ტექნიკუმია, გაუმჯობესდეს საგნობრივ-მეთოდური კომისიების მუშაობა. სახალხო განათლების ორგანოები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისციპლინათა სწავლების გაუმჯობესებაში სასწავლებლებს ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ.

რესპუბლიკური თათბირი მუზეუმების მუშაობის საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მუზეუმების მუშაკთა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირმა განიხილა მუზეუმების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

მუზეუმები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ისტორიისა და ეთნოგრაფიის, მხარეთმცოდნეობის, მემორიალური და სხვა 48 მუზეუმია. ამ მუზეუმებშია მატერიალური და სულიერი კულტურის უძვირფასესი ძეგლები, ვრცელი მასალები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს.

მუზეუმების შესანახად გამოყოფილია მნიშვნელოვანი თანხები. წელს ამ ნიზნით ასიგნებულია 11.500 ათას მანეთზე მეტი. მაგრამ რესპუბლიკის მუზეუმები ვერ ასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. მათ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა და იდეოლოგიურ საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად.

ბევრი მუზეუმის ექსპოზიციები საკმაო სისრულით ვერ ასახავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს, ისტორიაში ხალხის მასების როლს. მკრთალად და ზერელედ არის ნაჩვენები უდიდესი გარდაქმნები, რომლებიც საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ისტორიული წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

მუზეუმებში სუსტად არის ნაჩვენები ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის ურღვევი, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა.

მეტი წილი მუზეუმების მუშაკები, გატაცებული არიან რა ისტორიული წარსულით, თვალთახედვიდან უშვებენ თანამედროვეობის საკითხებს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თითქმის არ არის ექსპონატები, რომლებიც ასახავდნენ სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებებს სამხრეთ ოსეთში.

დიდი ნაკლოვანებებია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მუშაობაში. ამ მხარის ისტორია აქ წარმოდგენილია ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების ისტორიისაგან მოწყვეტით. მუზეუმში არ არის მასალები მოსახლეობის ფართო წრეებისათვის ისეთ საინტერესო საკითხზე, როგორიც არის საბჭოთა აჭარის წარმატებანი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებაში.

იდეური და მხატვრული თვალსაზრისით მკრთალად არის გაფორმებული საბჭოთა პერიოდის განყოფილებები გორის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ბორჯომის, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობისა და ზოგიერთ სხვა მუზეუმში. მუზეუმების მიერ მოწყობილი ექსკურსიებისა და ლექციების დონე დაბალია. მოძრავ გამოფენებს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ისინი ძალიან იშვიათად აწყობენ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მუზეუმებში მეცნიერული მუშაობა ჩამორჩება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუზეუმების ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მოწინავე კოლმეურნეობათა, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციის საქმეში.

თათბირზე აღინიშნა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ მუზეუმების მუშაობას, საჭირო დახმარებას ვერ უწევენ მათ.

სერიოზულად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობს მუზეუმებს, არ უწევს მათ საჭირო მეთოდურ დახმარებას, არ ცდილობს უზრუნველყოს მუზეუმებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შემოქმედებითი კავშირის განმტკიცება.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ამხ. თ. პაატაშვილმა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ამხ. ვ. ხატიაშვილმა, ქუთაისის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორმა ამხ. მ. გოგსაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა ნ. ბერძენიშვილმა, გ. ჩუბინიშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა ი. ახვლედიანმა და სხვებმა.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ზოდელავამ და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. ა. გუნიამ. (საკდესი).

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია

დ. დელოვი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე საბჭოთა ხალხის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაულია. საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის მიერ 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა. კონსტიტუციით აღინიშნა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ხანაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში მოცემულია სოციალიზმის პრინციპების, სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური ბაზისისა და კლასობრივი სტრუქტურის, გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმის ღრმა მეცნიერული დახასიათება. ამ ისტორიული დოკუმენტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ასახავს იმას, რაც უკვე მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხებმა, რაც ფაქტიურად უზრუნველყოფს საბჭოების ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელ ზრდას.

სსრ კავშირის კონსტიტუციას საფუძვლად უდევს ფაქტი ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ლიკვიდაციისა და სოციალისტური წყობილების გამარჯვებისა. მუშებისა და გლეხების საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა და განმტკიცდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად, განთავისუფლებული ხალხის მძლავრი იარაღი იყო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, გააუქმა წარმოების იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება და მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა ქვეყანაში დამკვიდრდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების ურყევი ეკონომიური საფუძველი.

ეკონომიკის დარგში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად ძირეულად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც. ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები. ჩვენში დარჩა მუშათა კლასი და გლეხთა კლასი, დარჩა ინტელიგენცია, რომლებიც შედუღაბებული არიან საერთო ინტერესებით კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

იქ, სადაც არ არის ანტაგონისტური კლასები, არ შეიძლება იყოს ეთნიკლასის დათრგუნვა და დაჩაგვრა მეორე კლასის მიერ, მაშასადამე, არ შეიძლება იყოს ეროვნული შუღლიც, ეროვნული ჩაგვრაც. მეცნიერული კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი წერდნენ:

„იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი ინდივიდუუმის ექსპლოატაცია მეორის მიერ, მოისპობა ერთი ერის ექსპლოატაცია მეორის მიერ.

ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის მოსპობასთან ერთად მოისპობა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთს შორის“.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა ეს გენიალური განჭვრეტა რეალური სინამდვილე გახდა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა უმაგალითო მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ნიმუშს. დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მიაღწია ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავებას.

მაშინ როცა კაპიტალისტურ საზოგადოებას ღრღნის შეურიგებელი კლასობრივი და ეროვნული წინააღმდეგობანი, საბჭოთა საზოგადოება თავისუფალია კლასობრივი და ეროვნული შეჯახებებისაგან და წარმოადგენს სსრ კავშირის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ყველა ხალხის მეგობრული თანამშრომლობის სურათს. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გაიშალა ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფს დიად უფლებებსა და თავისუფლებებს: შრომის, დასვენების, განათლების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას; სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლებას; უზრუნველყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას. საბჭოთა ქვეყანაში არსებობს ნამდვილად საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით.

საბჭოთა დემოკრატია ნამდვილად სახალხო, ბოლომდე განხორციელებული სოციალისტური დემოკრატიის ნიმუშია. იგი ძირეულად უპირდაპირდება ფარისევლურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. თუ დემოკრატია კაპიტალის ქვეყნებში დემოკრატიაა მდიდრებისათვის, ექსპლოატატორებისათვის, დემოკრატია სსრ კავშირში დემოკრატიაა მშრომელებისათვის, მთელი ხალხისათვის. საბჭოთა დემოკრატიზმი უზრუნველყოფს მშრომელთა აქტიურ და ამასთან გადამწყვეტ მონაწილეობას ქვეყნის მართვაში, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. საბჭოთა წყობილების პირობებში მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები მონაწილეობენ არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ყოველდღიურ მართვაში, ქვეყნის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

კაპიტალიზმმა მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას წაართვა ადამიანური არსებობის ელემენტარული პირობები, მილიონობით მშრომელნი გადააქცია უუფლებო მონებად, რომელთა ფიზიკური და სულიერი ცხოვრება სამუშაოს მიმცემ კაპიტალისტებზეა დამოკიდებული. გამდიდრების შეუკავებელმა წყურვილმა ბურჟუაზიული საზოგადოება ჩიხში მოაქცია. კაპიტალის ქვეყნებში უმუშევართა რაოდენობა ამჟამად მრავალ ათეულ მილიონს შეადგენს: ამერიკის შეერთებულ შტატებში მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია 13 მილიონი, ინგლისში — 1,2 მილიონი, დასავლეთ გერმანიაში — 5 მილიონი, იტალიაში — 4,5 მილიონი, იაპონიაში — 10 მილიონი, საფრანგეთში — 3 მილიონზე მეტი, ინდოეთში — 50 მილიონი. მაგრამ იმათაც, ვისაც სამუშაო აქვს, არაფრის იმედი არ შეიძლება ჰქონდეთ. ქუჩაში გაგდების მუდმივი საფრთხე აბეჩავებს მათ, უწამლავს შეგნებას.

კაპიტალიზმი მილიონობით მშრომელს უმეცრებაში ამყოფებს. მოსახლეობის უდიდეს ფენებს არ ძალუძთ ასწავლონ თავიანთ შვილებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონობით არის წერა-კითხვის უცოდინარი. სკოლების შენობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაძველებულია და ბავშვები სწავლობენ ცარიელ საწყობებში, გარაჟებში, სარდაფებში. ამერიკის მთავრობა სახალხო განათლების საქმეს ახმარს ნაციონალური ბიუჯეტის ნახევარ პროცენტს, 150-ჯერ ნაკლებს, ვიდრე სამხედრო ხარჯებს. კოლონიურ ქვეყნებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. „ცოდნა ადგილობრივ მკვიდრთათვის მავნეაო“, — უტიფრად აცხადებენ კოლონიზატორები.

მძიმეა ინტელიგენციის ბედი კაპიტალიზმის დროს. ბურჟუაზიული პრესა სავსეა ცნობებით იმის შესახებ, რომ გონებრივი შრომის მუშაკებში საშინელი უმუშევრობაა. დასავლეთ გერმანიაში უმაღლესი განათლების მქონე 50 ათასზე მეტი კაცი დარჩენილია უმუშევრად. ინტელიგენციის ორმოცი პროცენტზე მეტი მუშაობს არა თავისი სპეციალობის მიხედვით. ხუთი ათასი ახალგაზრდა ექიმი მუშაობს ტრამვაის და ავტობუსის კონდუქტორებად, ოფიციანტებად, ღამის დარაჯებად და ა. შ. ავსტრიაში თითქმის ყველა მასწავლებელი, რომლებმაც უკანასკნელ წლებში დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, უმუშევარი დარჩა. ექიმი, მასწავლებელი — ეს პროფესიები ბურჟუაზიას არ ესაჭიროება. მათ „ბიზნესისათვის“ ვერ გამოიყენებ. სამხედრო წარმოების სპეციალისტებში კი, როგორც ამერიკელი კონგრესმენი რუნეი აცხადებს, „ცალში 10 ათასამდე დოლარს იძლევიან“.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში გამოცხადებული დემოკრატიული თავისუფლებანი სინამდვილეში მუშისათვის მოასწავებენ მხოლოდ ერთ „თავისუფლებას“ — მონად გაყიდოს თავი. რა თავისუფლებაზე, რა თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ საზოგადოებაში, სადაც მთელი სიმდიდრე მოქცეულია ერთ მუჭა პარაზიტთა ხელში, ცხრა მეათედი მოსახლეობა კი მოკლებულია ამ სიმდიდრეს, სადაც ნახევარზე მეტი მოსახლეობა მთელ თავის სიცოცხლეში ნახევრადმშიერია. ამ „თავისუფალი საზოგადოების“ ეკონომიური დახასიათებისათვის ინტერესს მოკლებული არ არის მოვიყვანოთ ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთი „კომბას“ აღიარება: „ევროპის ეკონომიკის რღვევა გრძელდება საშინელი ტემპით, ისეთი წესების თანახმად, რომლებიც იმდენად შეესაბამება მარქსისტთა ყველაზე გაბედულ ოცნებას, რომ შეიძლება იფიქრო, მოსკოვის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის ლექციას ვესწრებიო. კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, რომლებიც ხელახლა შეიარაღების პოლიტიკის შედეგად პაროქსიზმამდეა მიყვანილი, ისეთ მდგომარეობაში აყენებენ დასავლეთს, რომ იგი აგებს ომს, ჯერ რომ არ დაუწყია... ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „თავისუფალი სამყაროსაგან“ მათხოვართა სინდიკატზე უკეთესი ვერაფერი გააკეთეს“.

ოდესღაც, კაპიტალიზმის პირველ სტადიაში, დემოკრატიული თავისუფლებანი წარმოადგენდნენ ბურჟუაზიის დროშას, რომელიც მას ხალხში პოპულარობას უქმნიდა. სწორედ ამ დროშით მან ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება. ახლა იმავე ბურჟუაზიამ, რომელიც თავგზაბნეულია იმპერიალიზმის გადაუჭრელ წინააღმდეგობათა გამო, რომელიც დამფრთხალია მთელ მსოფლიოში განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი ზრდით, ფეხქვეშ გთელა ეს თავისუფლებანი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. ხალხის თვალწინ ნაკუწებად აქცევენ კონსტიტუციურ უფლებებს, უბოდიშოდ ეწევიან საარჩევნო კანონების „გადასინჯვას“, მხეცურად ახშობენ თავისუფალ სიტყვას. პოლიციური თვითნებობა, ძალადობა, სასამართლო წესით ანგარიშის გასწორება, ხვრეტა, ფაშისტური ტერორი, ეროვნული გამცემლობა — აი ხერხები, რომელთა საშუალებითაც მმართველი კლასები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა.

სოციალიზმის გამარჯვებამ გაფანტა სიცრუის შხამიანი ბურუსი, რომელშიც ექსპლოატატორები მრავალი საუკუნის მანძილზე ხვევდნენ მშრომელთა შეგნებას. სოციალიზმმა სულიერად გადაახალისა შრომის ადამიანი, შეგნებულ ისტორიულ შემოქმედებამდე აამაღლა მილიონნიანი მასები. სოციალისტური იდეოლოგია მილიონობით საბჭოთა ადამიანს დაეუფლა და უდიდესი მატერიალური ძალა გახდა. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფასდაუდებელი დამსახურება. მარქსისტულ-ლენინური პარტია იქიდან გამოდის, რომ ხალხია ისტორიის შემოქმედი, ისტორიული პროცესის გადამწყვეტი ძალა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში პარტია თავდადებულად ემსახურება ხალხს და მიაღწია გიგანტურ წარმატებებს ახალი, კომუნისტური ცხოვრების მშენებლობაში. ხალხის ერთგული, ნაცადი, ბრძენი მეგობარი — კომუნისტური პარტია სოციალისტური საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. ამ ისტორიულმა ფაქტმა კანონმდებლობითი განმტკიცება ჰპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

სოციალიზმის გამარჯვებამ გააათკეცა ხალხის ძალები. ახალმა წარმოებითმა ურთიერთობამ, რომელიც განისაზღვრება მეურნეობის სოციალისტური სისტემით, წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრებით, უსაზღვრო ასპარეზი შექმნა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

სოციალისტური ეკონომიკა წინ წავიდა ისეთი ტემპებით, როგორზეც კაპიტალიზმი ვერც კი ოცნებობდა თავისი აყვავების საუკეთესო ხანაშიც. შედარებით მოკლე ვადაში — უკანასკნელ 28 წელიწადში — სამრეწველო პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირში გაიზარდა 29-ჯერ, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება — დაახლოებით 55-ჯერ. სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობა წლითიწლობით უმჯობესდება. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1940 წელს ექვსჯერ აღემატებოდა რუსეთის 1913 წლის ნაციონალურ შემოსავალს, ხოლო 1952 წელს ნაციონალურმა შემოსავალმა ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. და იგი მთლიანად ხმარდება მთელი საბჭოთა ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. განუხრელად მატულობს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, გლეხთა რეალური შემოსავალი. სისტემატურად მცირდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები, იზრდება მოსახლეობის ყველა ფენის მყიდველობითი უნარი. გაჩაღდა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების, მაღაზიების, სასადილოების გიგანტური მშენებლობა, იზრდება ასიგნობანი სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შესაბამისად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იღებენ ღონისძიებებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუცია მძლავრი მაორგანიზებელი, დამრაზმავი ძალაა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიადი საქმეების შესრულება შეუძლია ხალხს, რომლის თავისუფალ განვითარებას ხელს არ უშლის არც კაპიტალისტური ექსპლოატაცია, არც უცხოელ დამმონებელთა უღელი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთათვის სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს ნიმუშს, რომლის მიხედვით ისინი წარმატებით აშენებენ სოციალიზმს, ეყრდნობიან რა საბჭოთა ხალხის ძმურ, უანგარო დახმარებას.

იმ ხალხებს, რომლებიც კაპიტალიზმის უღელქვეშ იტანჯებიან, სსრ კავშირის კონსტიტუცია უჩვენებს ექსპლოატაციისაგან, უმუშევრობისაგან, სიღატაკისაგან განთავისუფლების გზას, კაცობრიობის უმაგალითო ეკონომიური და სულიერი აღმავლობის გზას.

სოციალიზმი გარდუვალი კანონზომიერებით იკაფავს გზას დედამიწის ზურგზე. სოციალიზმი აღბეჭდილია ათეულ და ასეულ მილიონობით პროლეტართა რევოლუციური ბრძოლის დროშებზე. სოციალიზმს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში მოსახლე 800 მილიონმა ადამიანმა. მშვიდობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშრომელებს აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხის გმირული შრომა. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი.



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ კორპუსში მოთავსებულია ფიზიკის ლაბორატორია. დიდ ნათელ დარბაზში დადგმულია მაგდები ფიზიკური მოწყობილობით. დარბაზში ორი იარუსია, სადაც სტუდენტები მეცადინეობენ. **სურათზე:** ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები მეცადინეობენ ლაბორატორიაში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. ზარიძისა.

დურიფშელ კოლმეურნეთა ახალი წარმატებანი

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშეში“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრ. არძინბა) ერთ-ერთი მოწინავეა აფხაზეთში.

კოლმეურნეთა ენერგიული შრომის შედეგად ყოველწლიურად ძლიერდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა.

აქ წამყვან კულტურას წარმოადგენს ჩაი, რომლის ხავერდოვანი პლანტაციები 410 ჰექტარზეა გაშლილი. წლითიწლობით იზრდება ჩაის მოსავლიანობა. თუ 1951 წელს მოკრიფეს 525 ტონა ნედლეული, 1952 წელს ჩაის მოსავლიანობამ 980 ტონა შეადგინა, ხოლო წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 1.100 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული, გეგმა კი 1.000 ტონას ითვალისწინებდა. კოლმეურნეობის 15 საწარმოო ბრიგადიდან 4 ბრიგადა მილიონერია.

დურიფშელი კოლმეურნეები შეჰხარიან თავიანთი შრომის ნაყოფს. შრომადღეზე მარტო ავანსად 20 მანეთი განაწილდა. წლის ბოლოს ისინი თვითეულ შრომადღეზე 41 მანეთს მიიღებენ ნატურის ჩაუთვლელად. კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები ხ. კონჯარია, წ. არძინბა, მ. თარკილი, თ. თარბა, მ. შულუმბა გამომუშავებულ შრომადღეებზე 60-70 ათას მანეთს მარტო ფულად მიიღებენ. კოლმეურნეობის 17 წევრს აქვს საკუთარი დანაზოგით შეძენილი მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“, ხოლო 21-ს „მოსკვიჩი“. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 79 კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი ბინა.

კოლმეურნეები აქედანვე უყრიან საფუძველს ჩაის მომავალი წლის უხვ მოსავალს. შეუდგნენ ჩაის პლანტაციებში საზამთრო სამუშაოებს. მათი პირობაა მომავალ წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წლევანდელი 11 მილიონი მანეთიდან 12 მილიონ მანეთამდე აიყვანონ.

ვ. სერგია.

შრომის უნარმოკლებულთა და მოხუცთა უზრუნველყოფა

დიდი თანხები იხარჯება ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. წელს მარტო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით 9 თვეში შრომის ინვალიდებს მიეცათ 102 მილიონამდე მანეთი, პერსონალურ პენსიონერებს — 11.138.000 მანეთი. სამამულო ომის ინვალიდებმა და მათმა ოჯახებმა მიიღეს 105,5 მილიონზე მეტი მანეთი. ყველა სახის პენსიონერებმა 3.463.000 მანეთი ერთდროული დახმარება მიიღეს.

პენსიონერებს სისტემატურად უწევენ დახმარებას სანატორიუმების საგზურებით. წელს სამ კვარტალში 3.378 პენსიონერმა და ინვალიდმა დაისვენა და იმკურნალა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე, რაზეც 4 მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯა.

თვითეულ შრომადღეზე — 25 მანეთის

სოფელ [illegible] ოლქის [illegible] ლობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ქობულეთის რაიონში. კოლმეურნეობამ წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფა 28 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ზენითელებმა გადაჭარბებით გაანაღდეს ციტრუსების გაშენების ხუთწლიანი გეგმა, მეძროხეობის ფერმისათვის შეიძინეს 24 სული მაღალპროდუქტიული პირუტყვი. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის ააგეს ახალი სადგომი.

წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 2 მილიონ 100 ათას მანეთს გადააჭარბებს, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 1.600 ათასი მანეთის მიღება. თვითეულ შრომადღეზე ნაგარაუდევია გაიცეს 25 მანეთი ფულად.

კოლექტიური შრომის ბარაქით ხარობენ კოლმეურნეთა ოჯახები. 30 ათასამდე მანეთს ფულად და 4 ტონაზე მეტ მარცვლეულს მიიღებს ს. ქათამაძის ოჯახი.

სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან ქათამაძე, რომელმაც მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ ფართობზე 3.300 კილოგრამით გადააჭარბა ჩაის მოსავლიანობის გეგმას, მარტო პრემია-დანამატის სახით მიიღებს 10 ათას მანეთზე მეტს. მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დიდი რაოდენობით იღებენ დამატებით ანაზღაურებას სოციალისტური შრომის გმირი ფადმე ქათამაძე, ნაზიკო და ფათუშა მოწყობილები.

ტ. ტრაპაიძე.

მწვანე კონცხის სანატორიუმში

ახლაც, ზამთარში, როცა თოვლით შეიმოსა მთა და ბარი, ზღვისპირეთის მთელი რიგი კურორტები განაგრძობენ მუშაობას, ემსახურებიან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

საკავშირო პროფსაბჭოს მწვანე კონცხის სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ასობით კაცი ისვენებს და მკურნალობს. აქ თვითეული მათგანი უშუალოდ გრძნობს იმ მზრუნველობას, რასაც ჩვენი მშობლიური პარტია და მთავრობა იჩენენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი შვებულების უკეთ გამოყენებისათვის.

სანატორიუმში კარგად არის დაყენებული კვება, სამედიცინო და კულტურული მომსახურება. მომსახურე პერსონალი (მთავარი ექიმი ამხ. ა. კერესელიძე) წინასწარ სწავლობს დამსვენებელთა მოთხოვნილებებს და ამის მიხედვით ინდივიდუალურად უდგება ყოველ მათგანს. ეს ხელს უწყობს ეფექტიან მკურნალობას და დასვენებას.

დამსვენებელი მ. ნიბლაძე.

ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალ წარმატებებს აღწევს მშრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენს დიად სამშობლოში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში უფრო მტკიცდება და ფართოვდება სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. ხალხთა დიადი მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითია სსრ კავშირის ხალხების უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის უანგარო მეგობრობა და სიყვარული მომძე ერებისადმი.

ხანგრძლივი ისტორია აქვს სომეხი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომეხ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის მეგობრობა ახალი ძალით გაიშალა და განმტკიცდა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კარგად ესმით ი. ბ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

ამჟამად ქართველ ხალხს და სომეხ ხალხს შორის მეგობრობა კიდევ უფრო მეტად განმტკიცებული და გაფართოებულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამ დიადი მეგობრობის საფუძველზე ჩაღდება ორი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ჩვენი რესპუბლიკის მრავალი საწარმო და კოლმეურნეობა წარმატებით ეჯიბრება მოძმე სომხეთის საწარმოებსა და კოლმეურნეობებს. ხუთ წელზე მეტია გრძელდება ყვარლის რაიონისა და სომხეთის სსრ ახტის რაიონის კოლმეურნეთა პატრიოტული შეჯიბრება. ამ შესანიშნავ შეჯიბრებას საფუძველი ჩაეყარა 1948 წელს, როცა ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მოწვევით ჩვენში ჩამოვიდა ახტის რაიონის სოფელ ფანტანის კოლმეურნეთა დელეგაცია. ბრძოლამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ორივე კოლმეურნეობა დიდად დააწინაურა. როგორც ფანტანის, ისე შილდის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება მარცვლეული, ბოსტნეული კულტურებისა და ვენახის მოსავლიანობა, დიდდება პირუტყვის პროდუქტიულობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხილვისას შილდელებმა კვლავ დააყენეს საკითხი ფანტანელებთან შეჯიბრების განგრძობის შესახებ. პარტიის ყვარლის რაიკომმა ამის შესახებ ახტის რაიკომს აცნობა. ამის შედეგის იყო, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში ახტის რაიონის სოფელ ფანტანის კოლმეურნეობის დელეგაცია ესტუმრა ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას. სომეხი კოლმეურნეები სიყვარულით გაეცნენ მეგობარ კოლმეურნეთა მიღწევებს. ამ მეგობრულმა სტუმრობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ფანტანელ და შილდელ კოლმეურნეთა შორის ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ორ კოლმეურნეობას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდ ძალად — ორი რაიონის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებად გადაიქცა. ნოემბერში რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა განიხილა ახტის რაიონთან სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხი. თათბირის ყველა მონაწილემ მხურვალედ დაუჭირა მხარი ამ წინადადებას და იკისრა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი. ყვარელ და ახტელ კოლმეურნეთა პატრიოტული შეჯიბრება ახალ ძალასა და ენერგიას მატებს ორივე რაიონის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დიდმნიშვნელოვან დადგენილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. კერძოდ ყვარლის რაიონის მშრომელებმა იკისრეს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით, აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით. მოიპოვონ ხორბლის, სიმინდის, ვენახისა და ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავალი, უზრუნველყონ მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტიულობის გადიდება, რაც დღემდე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა.

ყვარლის რაიონის მშრომელთა ვალდებულებებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ ეცნობა პარტიის ახტის რაიკომს. ახტელმა მშრომელებმა სიხარულით მიიღეს გამოწვევა. ნოემბრის ბოლო რიცხვებში ყვარლის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მექანიზატორები, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნები სომხეთის სსრ ახტის რაიონში გაემგზავრა.

ყვარელმა კოლმეურნეებმა გულდასმით დაათვალიერეს ახტის რაიონის კოლმეურნეობები და ღირსშესანიშნავი ადგილები, რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. 22 ნოემბერს პარტიის ახტის რაიკომმა მოიწვია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა ყვარლის რაიონის მშრომელთა ვალდებულებანი. თათბირმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება ყვარლისა და ახტის რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ 1954 წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნეობაში და მტს-ში მოეწყო მშრომელთა კრებები, რომლებზეც დასახულ იქნა ღონისძიებანი ახტელ კოლმეურნეებთან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ყვარლის რაიონის პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას იმისათვის, რომ შემდგომ გააფართოონ ორი მოძმე რაიონის კოლმეურნეთა შეჯიბრება, რომ მშრომელი მასები აღზარდონ ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

ა. ავაზაშვილი,
საქართველოს კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანი.

თეთრი ძალით ნაკერი პროვოკაცია

გაზეთი „გუნჟენჟიბაო“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის დელეგაციის პროვოკაციულ ნაყალბევის შესახებ

პეკინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს:

გაზეთმა „გუნჟენჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილავენ ამერიკის დელეგაციის პროვოკაციულ ნაყალბევს იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კორეაში თითქოს „მხეცობას“ სჩადიოდნენ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ სამხედრო ტყვეთა მიმართ.

შეღავათის პოლიტიკა, რომელსაც კორეა-ჩინეთის მხარე სამხედრო ტყვეთა მიმართ ახორციელებს, წერს გაზეთი, ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის, მაშინ როცა ამერიკის ვერავითარი ცილისწამება ვერ მიჩქმალავს ამერიკელთა მხეცობას კორეა-ჩინეთის მხარის ტყვეების მიმართ.

გაზეთს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკელები წამების გამოყენებით აიძულებდნენ ტყვეებს ყალბი ჩვენება მიეცათ.

1951 წლის 29 ნოემბერს, წერს გაზეთი, ჩინელი ტყვე ცინ სინ-გო ამერიკელ მცველთა თანხლებით გაგზავნეს სამხედრო დამნაშავეთა საქმეების გამომკვლევ ბიუროში. ეს ბიურო სპეციალურად შეიქმნა იმისათვის, რომ სამხედრო ტყვეები აიძულონ ჩვენება მისცენ არარსებული მხეცობის შესახებ. როგორც კი ცინ სინ-გო წამების კამერაში შევიდა, აგენტმა ჰკითხა: „ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ შენ 17 ამერიკელი სამხედრო ტყვე მოკალი. თქვი სიმართლე!“ ცინ სინ-გომ უყოყმანოდ უპასუხა, რომ შეღავათის პოლიტიკა, რომელსაც კორეა-ჩინეთის მხარე ახორციელებს, ნებას არავის არ აძლევს ცუდად მოეპყროს სამხედრო ტყვეებს. აგენტმა მას ხელკეტით სცემა და დახვრეტას დაემუქრა, თუ კვლავ უარს იტყოდა „აღიარებაზე“.

ცინ სინ-გო სამხედრო ტყვეთა ბანაკში დაბრუნეს ამერიკელ გუშაგთა თანხლებით, და შვიდ დღეს ზედიზედ აწამებდნენ ელექტროდენისა და ცივი წყლის საშუალებით. ამერიკელი მცველები და საიდუმლო აგენტები ეუბნებოდნენ, რომ თუ გამოტყდება 10 ამერიკელი სამხედრო ტყვის მოკვლაში (თავდაპირველად ისინი მოითხოვდნენ, რომ გამოტეხილიყო 17 ამერიკელის მოკვლაში), მას აღარ აწამებენ. წამების მეოთხე დღეს მათ თითქოს მოკლულ სამხედრო ტყვეთა რაოდენობა შეამცირეს 5 კაცამდე, მეხუთე დღეს — 3 კაცამდე და, ბოლოს, ერთ კაცამდე. როცა ცინ სინ-გომ უარი თქვა ამ ყალბი ბრალდების აღიარებაზე, სპეციალურმა აგენტებმა ძალით დაატოვებინეს თითების ანაბეჭდები „დოკუმენტზე“, რომელიც მას „სამხედრო დამნაშავედ“ აცხადებდა.

„სამხედრო დამნაშავეთა“ კატეგორიას მიკუთვნეს აგრეთვე მეორე ტყვე ჩინელი სახალხო მოხალისე მინ ძინ-ჩანი, რომელიც იმყოფებოდა ბანაკში კუნძულ კოჯედოზე და 1951 წლის ოქტომბერში საპყრობილეში ჩასვეს. ამერიკელმა მცველებმა იგი შვიდ სხვა სამხედრო ტყვესთან ერთად წაიყვანეს იონდიფზოში თითქოს დაღუპულ ამერიკელთა დასამარხავად. მას შემდეგ, რაც ტყვეებმა მიწის თხრა დაიწყეს, მათ ფოტოსურათები გადაუღეს, უფრო გვიან ეს ფოტოსურათები წარმოდგენილ იქნა როგორც იმ ტყვეების „დანაშაულის“ დამამტკიცებელი საბუთები.

1950 წლის 20 ნოემბერს ამერიკელებმა „სამხედრო დანაშაული“ დასდეს ბრალად კორეის სახალხო არმიის ტყვე მებრძოლს სონ ინ ჩელს, რომელიც პუსანის ბანაკში იმყოფებოდა. მას ბრალად დასდეს ამერიკის 24-ე დივიზიის უფროსის გენერალ-მაიორ უილიამ დინის მოკვლა. ამერიკელებმა ტყვე საშინლად აწამეს და მისი თითების ანაბეჭდები დატოვეს გამოგონებულ აღიარებაზე, როცა იგი უგონოდ იყო.

მაგრამ ამა წლის 4 სექტემბერს სამხედრო ტყვეთა გაცვლის პუნქტში პანმინჯონში გამოცხადდა თვით უილიამ დინი. ეს იყო „სამხედრო დანაშაულობათა“ ამერიკელი გამომკვლევებისათვის გაწეული სილა.

ეს ფაქტები, წერს გაზეთი, თვალსაჩინოდ მოწმობენ, თუ რა სიყალბეს სჩადის ამერიკის მხარე, რომელიც უაზრო ბრალდება წამოაყენა კორეა-ჩინეთის მხარის წინააღმდეგ.

მდგომარეობა სუეცის არხის ზონაში

კაირო, 3 დეკემბერი. (საკდესი). ეგვიპტის გაზეთის „ალშაბაბის“ კორესპონდენტის ცნობით, ქალაქ ფაიიდის (სუეცის არხის ზონა) ვაჭრებმა ინგლისელებს ბოიკოტი გამოუცხადეს სუეცის არხის ზონაში ინგლისელთა საოკუპაციო ჯარების ყოფნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ვაჭრებმა დაკეტეს თავიანთი მაღაზიები და უარს ამბობენ მიჰყიდონ საქონელი ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეებს.

ინგლისის ჯარების სარდლობამ მოითხოვა ვაჭრობის განახლება და ეგვიპტელ ვაჭრებს დაემუქრა, რომ უარის შემთხვევაში ძალას იხმარს. მაგრამ მაღაზიები კვლავ დაკეტილი იყო. გუშინ ინგლისელმა ჯარისკაცებმა სარდლობის ბრძანებით ძალით გააღეს მაღაზიები და ხელთ იგდეს მთელი მათი საქონელი, რომელიც შეფასებულია მეოთხედ მილიონ ეგვიპტურ გირვანქად.

კორეაში დაზავებისათვის

პეკინი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, 2 დეკემბერს ამერიკის მხარემ ერთ-ერთ სექტორში სამხრეთკორეელ სამხედრო ტყვეთა შორის დაიწყო ახსნაგანმარტებითი მუშაობა, რაც დიდ ხანია მზადდებოდა. ახსნაგანმარტებითი საუბარი მოეწყო 30 სამხედრო ტყვესთან. მიუხედავად ლისინმანელი აგენტების მხრივ ყოველგვარი „დარწმუნებისა“ და „ცდუნებისა“, არც ერთმა მათგანმა არ მოისურვა რეპატრიირება. ბევრმა ამ სამხედრო ტყვემ განაცხადა, რომ კორეა-ჩინეთის მხარემ არაერთხელ სცადა დაერწმუნებინა ისინი შინ დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ მათ გულდასმით აწონდაწონის შემდეგ გადაწყვიტეს დარჩნენ ჩრდილოეთ კორეაში.

მოსალიკის გასამართლება

თეირანი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სასამართლო პროცესზე მოსადიკისა და ირანის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის გენერალ რიახის საქმის გამო 30 ნოემბერს სალამოს, 1 და 2 დეკემბერს მოსადიკი კვლავ აძლევდა პასუხს სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვებზე, რომლებიც ეხება ამა წლის 16-19 აგვისტოს ამბებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიაზე

2 დეკემბრის დიღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ დიღის პლენარულ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტყვეებისადმი“ „მხეცობის“ შესახებ ამერიკის ჯორის საკითხს, გამოვიდნენ ურუგვაის, ფილიპინების, უკრაინის სსრ და პერუს დელეგატები.

ურუგვაის, ფილიპინებისა და პერუს დელეგატებმა გაიმეორეს ამერიკის წარმომადგენლის ცილისმწამებლური მტკიცება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მისამართით. საგულისხმოა, რომ ისინი ამასთან სრულიად არ შეხებიან „მოხსენებას“, რომელიც ამერიკის დელეგაციამ წარუდგინა განსახილველად ასამბლეას თავის ჟორთან დაკავშირებით. ამ დელეგატებმაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ ამერიკის პოლიტიკას მისდევენ, არახელსაყრელად მიიჩნიეს დაემოწმებინათ ამ „მოხსენებაში“ მოყვანილი ერთმანეთის საწინააღმდეგო, უსაფუძვლო მტკიცებანი.

ინგლისის წარმომადგენელი ჯები ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის პასუხად შეეცადა დაეცვა ინგლისის მთავრობის პოლიტიკა მიუხედნის პეროიდში და უფრო გვიან, რომლის მიზანი იყო, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარემართა ჰიტლერული აგრესია.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. მ. ბარანოვსკიმ განაცხადა, რომ ეგრეთწოდებული „მხეცობის“ საკითხის გენერალურ ასამბლეაში დაყენებით ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ისახავენ საკუთარი გარკვეული მიზანს — გააძნელონ კორეის საკითხის შშვიდობიანი მოწესრიგება და აღძრან მტრობისა და სიძულვილის გრძნობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი. როცა ჰორიზონტზე დაისახა შორეულ აღმოსავლეთში მოწესრიგების საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის ნათელი პერსპექტივა, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა წრეებმა მთელი ძალღონე იქმოვენ მიმართეს, რომ ახალი დაბრკოლებები შეექმნათ კორეის პრობლემის გადაჭრისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის გარკვეულ წრეებს, განაცხადა ა. მ. ბარანოვსკიმ, სურდათ გაეძლიერებინათ საერთაშორისო დაძაბულობა, რაც ხელსაყრელია „ცივი ომის“ გაფართოებისა და გამლესტელი შეიარაღების გაძლიერების გეგმების განხორციელებისათვის.

ამერიკის სამხედრო სარდლობამ, აღნიშნა შემდეგ ბარანოვსკიმ, ჩაიდინა საზარელი დანაშაული კორეელი მოსახლეობისა და კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა მიმართ, როცა გაითამაშა „მხეცობის გამოკვლევის“ კომედია, რომლის ინსცენირებაში გამოყენებული იყვნენ დამნაშავე ელემენტები ლისინმანელ პოლიციელთა რიცხვიდან, პროვოკატორები და მოღალატეები: ისინი იძლეოდნენ ჩვენებას იმათი კარნახით, ვისაც წილი უდევს დანაშაულში კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ.

უკრაინის სსრ დელეგაცია, თქვა ა. მ. ბარანოვსკიმ, ნათლად ხედავს, რომ ასამბლეის დღის წესრიგში ამ ნაყალბევის გამოჩენა დაკავშირებულია იმ პროპაგანდისტულ კამპანიასთან, რომლის მიზანია გააღვივოს მტრობა და სიძულვილი სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, იმ კამპანიასთან, რომელიც ამ ბოლო დროს გაძლიერდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ხრიკებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გამწვავება, განაცხადა დასასრულ ა. მ. ბარანოვსკიმ, უკრაინის სსრ მთავრობა უპასუხებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებით. ეს მიაჩნია მას თავის ამოცანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც.

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე სამხრეთ აფრიკაში იმ რასობრივი კონფლიქტის საკითხზე საერთო დისკუსიაში, რომელიც გამოწვეულია სეგრეგაციის (აპარტეიდის) პოლიტიკით, რასაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს, გამოვიდნენ საფრანგეთის, კოლუმბიის, ინდონეზიისა და ეთიოპიის დელეგატები.

საფრანგეთის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ვერ დაეთანხმება იმას, რომ გენერალური ასამბლეა კომპეტენტურია განიხილოს საკითხი, რომელიც ამჟამად კომიტეტის წინაშეა დასმული, რამდენადაც ეს თითქოს ჩარევა იქნება სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის საშინაო საქმეებში.

საფრანგეთის წარმომადგენელმა შემდეგ აღნიშნა, რომ მისი დელეგაცია მხარს დაუჭერს სამხრეთ აფრიკის კავშირის რეზოლუციის პროექტს იმის შესახებ, რომ კომიტეტი კომპეტენტური არ არის განიხილოს ეს საკითხი. მან გაიღაშქრა 17 ქვეყნის დელეგაციების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

კოლუმბიის დელეგატმა, რომელიც გამოვიდა კოლონიური სახელმწიფოების პოლიტიკის მქადაგებლისა და დამცველის როლში, კვლავ გაიმეორა თავისი მტკიცება იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეა თითქოს კომპეტენტური არ არის განიხილოს სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხი. კოლუმბიის დელეგაცია, განაცხადა მან, ხმას მისცემს 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ინდონეზიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინდონეზიის დელეგაცია ხმას მისცემს სამხრეთ აფრიკის კავშირის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ და 17 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა, თქვა ინდონეზიის დელეგატმა, რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკას ახორციელებს თითქოს „დასავლეთის ცივილიზაციის“ დასაცავად. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა ამ ეგრეთწოდებულმა „ცივილიზაციამ“, თქვა მან, „სახელი გატეხა კოლონიალიზმის პოლიტიკის განხორციელებისას“.

თავისი სიტყვის დასასრულს ინდონეზიის დელეგატმა ჯეროვანი მიუზღო სამხრეთ აფრიკის კავშირის იმ პროგრესულ მოღვაწეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძვიან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და კანის ფერის, ენისა და რელიგიის მიუხედავად ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობისათვის.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ეთიოპიის დელეგატი, რომელმაც დაგმო რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა.

ინდოეთის პრესა საბჭოთა ნოტის შესახებ პაკისტანისადმი

დელი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დელის დღის გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს საბჭოთა კავშირის ნოტა პაკისტანისადმი.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იუწყება, რომ საბჭოთა ნოტამ „დიდი ინტერესი გამოიწვია დელის პარლამენტის წრეებში“.

გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იწონებს საბჭოთა ნოტას და აღნიშნავს, რომ, მოსწონს თუ არა ეს პაკისტანს, მისი მეზობლები „კვლავაც სერიოზულ ინტერესს გამოიჩენენ ამგვარი მოვლენებისადმი“.

ქალაქ ლაკნაუს გაზეთი „პიპლი“ წერს, რომ ცნობები პაკისტან-ამერიკის სამხედრო მოლაპარაკების შესახებ „დიდ შეშფოთებას იწვევს ყველა მშვიდობისმოყვარე წრეში“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდონეზიის სავაჭრო შეთანხმება

პეკინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ გუშინ პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთ-ინდონეზიის სავაჭრო შეთანხმებას.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო-გადმოგვცემს:

დამთავრდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ზოგადად დაახასიათეს პოზიცია, რომელზე დადგომასაც აპირებს საფრანგეთის დელეგაცია ბერმუდესის კუნძულების თათბირზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ნოტას, საფრანგეთის მთავრობა, კმაყოფილებით იღებს რა ცნობად იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირმა მიიღო მიწვევა, რომელიც მას გაეგზავნა ამა წლის 15 იულისს ვაშინგტონის თათბირის შემდეგ, აპირებს ბერმუდესის კუნძულებზე გამართული თათბირი გამოიყენოს, რათა ამერიკას შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან ერთად განიხილოს იმ პასუხის ფორმები, რომელიც მოსკოვს გაეგზავნება ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლების თათბირის უახლოეს დროში მიწვევის მიზნით.

განხილულ იქნა სხვა პრობლემებიც, რომლებსაც შეეხებიან ბერმუდესის კუნძულების თათბირზე და განიხილავენ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლთა თათბირზე.

შვედური გაზეთისათვის ხო ში მინის ინტერვიუსთან დაკავშირებით მთავრობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

„საფრანგეთის მთავრობამ ორჯერ გამოაცხადა თავისი პოზიცია ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხზე.

მართებული იქნებოდა, რომ ვიეტმინს ეცნობებინა თავისი პოზიცია ოფიციალური გზით. ეს პასუხი შემოერთებულ სახელმწიფოებთან ერთად განხილული იქნებოდა იმ სულისკვეთებით, რომ გაკეთდეს ყოველივე, რათა დამყარდეს ხანგრძლივი მშვიდობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, აგრეთვე მოქალაქეთა თავისუფლებასა და უშიშროებას“.

ინდოეთის პრესა პროტესტს აცხადებს დელში ნიქსონის ვიზიტის წინააღმდეგ

დელი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრესა გამოთქვამს პროტესტს დელში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის ვიზიტის წინააღმდეგ.

კალკუტის გაზეთი „სანმარგი“ წერს: „ნიქსონამდე აზიის ქვეყნები მოიარეს დალესმა და სტევენსონმა. მათი ვიზიტის შემდეგ სერიოზული ამბები მოხდა აზიის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან რაიონებში. ირანში მოხდა გადატრიალება, თეირანის ქუჩები შეიღება ირანელთა სისხლით... ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს შორის წარმოვს მოლაპარაკება სამხედრო პაქტის დადების შესახებ“.

გაზეთი ნიქსონს აძლევს შემდეგ კითხვებს:

1. გომინდანელთა ბანდები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებენ ინსტრუქციებს, დღემდე რა საფუძვლით იმყოფებიან ბირმის ტერიტორიაზე?

2. ნიშნავს თუ არა ამერიკის სამხედრო დახმარება პაკისტანისადმი ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას — შექმნას ინდოეთის საზღვრებზე მეორე ტაივანი?

გაზეთი „სვადჰინატა“ გმობს ნიქსონის ჩასვლას ინდოეთში და წერს: „ამერიკელი ინტრიგანები სხვადასხვა ხრიკებს მიმართავენ, რათა მოატყუონ ინდოეთისა და მთელი აზიის საზოგადოებრიობა. მაგრამ სისხლისმღვრელმა ომმა კორეაში, კორეის საკითხის შშვიდობიანი მოწესრიგების საბოტაჟმა, ქვეყნების ზედიზედ შეიარაღებამ დაანახვა აზიელ ხალხებს ამერიკელ მმართველთა ნამდვილი სახე“.

„ჩვენს ქვეყანაში ნიქსონის მისიის მიზანია, — წერს გაზეთი, ჩაითრიოს ინდოეთი ომის გამჩაღებელთა შეთქმულებაში“.

საბჭოთა ქალთბურთელების გამარჯვება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 3 დეკემბერი. (საკდესი). მოსკოვის ქალთბურთელ ქალთა პირველმა და მეორე გუნდებმა ჩეხოსლოვაკიაში რამდენიმე შეხვედრა მოაწყეს ჩეხოსლოვაკიის ქალთბურთელებთან. მოსკოვის ქალთბურთელ ქალთა მეორე გუნდი შეხვდა ქალაქ ოლომოუციის ქალთბურთელ ქალთა გუნდს და მოუგო ანგარიშით 73 : 9.

მოსკოვის ქალთბურთელ ქალთა პირველმა გუნდმა მოუგო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის ქალთბურთელ ქალთა მეორე გუნდს ანგარიშით 85 : 51.

თბილისში ჩამოვიდნენ გერმანელი მსახიობები

4 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსახიობთა და მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით. ჯგუფში შედიან: დირიჟორი ეროვნული პრემიის ლაურეატი პროფესორი ფრანც კონვიჩნი, ფლეიტისტი ბერლინის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის პროფესორი ერვინ მილკოტი, პიანისტი პროფესორი დიტერ ცეიხლინი, დრეზდენის სახელმწიფო ოპერის სოლისტი დორა ჩილე, ორღანისტი ეროვნული პრემიის ლაურეატი ამადეუს ვებერზინკე და სხვები.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ჭიაურელი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი შ. ბუაჩიძე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი ი. ნაზარიშვილი, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარე ა. ბალანჩივაძე, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორი კომპოზიტორი ი. ტუსკია, კომპოზიტორები სტალინური პრემიის ლაურეატები გ. კილაძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი და სხვები.

გერმანელი მსახიობები თბილისში გამართავენ კონცერტებს. (საქდესი).

ფინელ მხატვართა დელეგაცია საქართველოში

რამდენიმე დღეს საქართველოში სტუმრად იყო ფინელ მხატვართა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ფინეთის სამხატვრო აკადემიის სამხატვრო სკოლის რექტორი ა. ჰეინონენი. დელეგაციის შემადგენლობაში იყო საზოგადოება — „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ თავმჯდომარე სიფლეი კიულკი კილპი.

სტუმრები გაეცნენ თბილისის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, იყვნენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატების უ. ჯაფარიძის, ა. ქუთათელაძის, კ. მერაბიშვილის ატელიეებში. უცხოელთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში დელეგაციის წევრები შეხვდნენ ქართველ მხატვრებს.

ფინელმა მხატვრებმა დათვალიერეს აგრეთვე საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნახეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ და შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალტი“.

დელეგაცია გაემგზავრა გორში, სადაც დათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა სტუმრების პატივსაცემად მოაწყო დარბაზობა, რომელსაც დესპრნენ ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების მოღვაწეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

3 დეკემბერს ფინელ მხატვართა დელეგაცია თბილისიდან კიევს გაფრინდა. (საქდესი).

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავი სასპორტო შეხვედრები

სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველო 5 და 6 დეკემბერს აწყობს მრავალ სპორტულ ასპარეზობას.

დღეს თბილისის პროსპექტებსა და ცენტრალურ ქუჩებზე გაიმართება წრიული მძლეოსნური ამანათრბენი. სტარტი და ფინიში შედგება ლენინის სახელობის მოედანზე. შეჯიბრება დაიწყება დღის პირველ საათზე.

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში სასპორტო საზოგადოებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაბრიკა-ქარხნების 22 გუნდის მონაწილეობით. პირველ ნახევარფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა. ფინალური ასპარეზობა გაიმართება 6 დეკემბერს. ამავე დღეს სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშებაში, აგრეთვე საქალაქო, ფაბრიკა-ქარხნების და უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატებში გამარჯვებულ გუნდებს საზეიმოდ გადაეცემათ გარდამავალი ჯილდოები — თასები.

ნეკროლოგი

ეროვნული ბალეტის უფროსი ოსტატი ჩახეიძე

1 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა ქართული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი უშანგი ვიქტორის-ძე ჩხეიძე.

უ. ჩხეიძე დაიბადა 1898 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში.

უ. ჩხეიძე ჭაბუკობის წლებიდანვე გატაცებული იყო თეატრით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უ. ჩხეიძე რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი ხდება. აქ იგი დიდი წარმატებით ასრულებს ცენტრალურ როლებს გ. ერისთავის, დ. კლდიაშვილის, ი. გედევანიშვილის, ს. შანშიაშვილის პიესებში, რუსი და დასავლეთევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებებში.

1928 წელს უშანგი ჩხეიძემ მუშაობა დაიწყო კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ ჭუთაისბათუმის მეორე სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

1928-32 წლებში უ. ჩხეიძე ბრწყინვალედ ასრულებდა შემდეგ როლებს: ბეგლარ კ. კალაძის პიესაში „როგორ“, ყვარყვარე (ვ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), კვეფინაძე (შ. დადიანის „კაკალ გულში“), გულბაათ (კ. კალაძის „ხატიჯე“), ურიელ (კ. გუტკოვის „ურიელ აკოსტა“), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო“) და სხვ. მან მონაწილეობა მიიღო თბილისის კინოსტუდიის მიერ დადგმულ სამ კინოსურათში: „ქარიშხლის წინ“, „კომეწარის ჩიბუხი“ და „ნარინჯის ველი“.

კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ უ. ჩხეიძე ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრს.

1935 წელს მძიმე დაავადების გამო მან დატოვა სცენა, მაგრამ თეატრთან კავშირი არ გაუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. უ. ჩხეიძე მონაწილეობას იღებდა რადიოგადაცემებში, დაწერა პიესა „ვირგი საკაძე“, გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები სასცენო ხელოვნების შესახებ და წიგნი „კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი“.

უ. ჩხეიძე მუდამ ეხმარებოდა ამხანაგებს, ბევრ ძალასა და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა მსახიობების აღზრდას.

სახელი უშანგი ჩხეიძისა, როგორც სცენის ბრწყინვალე ოსტატისა, ქართული თეატრის ისტორიაში დარჩება ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე მესხის და თეატრალური ხელოვნების სხვა ნიჭიერ წარმომადგენელთა სახელების გვერდით.

ნიჭიერი მსახიობი უშანგი ჩხეიძე სამუდამოდ დარჩება თეატრალური საზოგადოების ხსოვნაში.

ა. გუნია, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ჭაბუკიანი, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, გ. ფოფხაძე, ვ. ჭიაურელი, ი. აბაშიძე, თ. აბაშიძე, დ. ანთაძე, ა. ბალანჩივაძე, მ. ბეროიანი, შ. ღამბაშიძე, ი. გვინჩიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. გოძიაშვილი, შ. დადიანი, გ. დავითაშვილი, უ. ჯაფარიძე, ე. დონაური, ს. ყორყოლიანი, ხ. ზაქარიაძე, ს. ინაშვილი, პ. კობახიძე, დ. მჭედლიძე, ა. თაყაიშვილი, ვ. თოფურიძე, ა. წუწუნავა, თ. ჭავჭავაძე, დ. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის დამკრძალავი კომისიისაგან

უშანგი ჩხეიძის ცხედარი 6 დეკემბერს გადასვენებულ იქნება საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში (მარაბლის ქ. № 13).

განსვენებულთან გამოთხოვებისათვის დარბაზი გაიღება დილის 11 საათიდან, სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 13 საათზე. გამოსვენება 14 საათსა და 30 წუთზე.

უშანგი ჩხეიძის დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 8 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაბიკიძე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ახალგაზრდა მასწავლებელი (დღისით), ბარათაშვილი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — კიკვიძე (დილას და საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სასიძოები (დღისით), სამთა სიყვარული (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლურჯა (აბონემენტი № 16, 12 ს.), ლურჯა (აბონემენტი № 25, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უბის წიგნაკი (10 ს., 2 ს. 30 წ.), **სანიტარული კულტურის** — შვილი, **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (4 ს. პლეხანოვის სახელობის კლუბში).

6 დეკემბერს

რუსთაველის სახელობის — ბარათაშვილი (დღისით), ოთარაანთ ქვრივი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (რკინიგზელის კლუბში), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავასახელებთ (დღისით და საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — მთი ოცნება (დღისით), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 27, 12 ს.), კომბლე (აბონემენტი № 45, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უბის წიგნაკი (10 ს., 2 ს. 30 წ.), **სანიტარული კულტურის** — გოჩი მინდიური.

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის კლუბები — ვასა ფელეშნოვა, **ამირანი** — სოფლის მასწავლებელი (დღისით), ვენური კვარტეტი (საღამოს), **კომკავშირელი, დიდუბე** — ფრანც შუბერტი, **კოლხიდა, კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი** — საგუშაგო მთებში.

სამტრესტის ფოთის ღვინის ქარხნის თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე ონისიმესძე აბულაძის** გარდაცვალებას.

ჟურნალ „დროშის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან **სერგო ივანეს-ძე გვინჩიძის** გარდაცვალებას.

ბიძაშვილი ნუცა ჩხეიძე შვილებით: მ. ქორელი, მ. ქორელი, სიძეებით: